სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
LEPL - EDUCATION MANAGEMENT INFORMATION SYSTEM

თბილისი, 0160, ფანჯიკიძის ქ. №1ა www.emis.ge ელ.ფოსტა: info@emis.ge ტელ.: +995 322 200220
№1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia www.emis.ge E-mail: info@emis.ge Phone: +995 322 200220

MES 5 22 0001.1/106

20/10/2022

№1.1/106

საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპისთვის, დირექტორობის მსურველთა რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 56-ე და 57-ე მუხლების, „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის N25/ნ ბრძანებით დამტკცებული დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების“ მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპისათვის, დირექტორობის მსურველთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს: **2022 წლის 24 ოქტომბრიდან - 2022 წლის 04 დეკემბრის ჩათვლით.**
2. დაევალოს, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო ინოვაციების და ტექნოლოგიების სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის თამარ მახარაშვილის 2022 წლის 19 ოქტომბრის N1324930 კორესპონდენცია.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი

ბერიძე დიმიტრი